სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

დეკემბერი №23

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სასაზღვრო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ბიზნესკონსულტაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomceme li: Sps ~biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
~gadasaxadebi~

registrirebulia #04-0665, 10.08.2009 / *Registred* #04-0665, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elguja qavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD

Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
ChairmanC: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4

ISSN 1987-9156

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / FFormal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-40

instruqcia / Instructions ----------41-42

Semosavlebis samsaxuris brZaneba ȝ Revenue Service command ----------43-50

proeqti / Project ----------51-55

gadasaxadebi #23, 2019

GADASAKHADEBI #23, 2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.018170) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი:

„6^1. სამსახური უფლებამოსილია რეესტრში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმების მიზნით პირისგან/აუდიტორისგან/აუდიტორული ფირმისგან გამოითხოვოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია. თავის მხრივ, პირი/აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია სამსახურს მიაწოდოს ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.“.

2. მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

„7^1. სამსახური უფლებამოსილია ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით პირისგან/აუდიტორისგან/აუდიტორული ფირმისგან გამოითხოვოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მატერიალური ფორმით ან/და ელექტრონული ფორმით). ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია განისაზღვრება სამსახურის მიერ დადგენილი წესით.“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 22^1 მუხლი:

„მუხლი 22^1. სუბიექტთან/პირთან/აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან კომუნიკაცია

1. ამ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას სამსახურს უფლება აქვს, სუბიექტთან/პირთან/აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან კომუნიკაციის მიზნით მატერიალური დოკუმენტის ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, გაგზავნოს, შეინახოს და გასცეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. სამსახური ინფორმაციას/დოკუმენტს სუბიექტს/პირს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უგზავნის ან/და წარუდგენს მატერიალური ფორმით ან/და ელექტრონული ფორმით. ინფორმაციის/დოკუმენტის გაგზავნის ფორმას ირჩევს სამსახური.

3. ერთი დოკუმენტის რამდენჯერმე ან სხვადასხვა ფორმით წარდგენის შემთხვევაში მისი წარდგენის თარიღად მიიჩნევა ამ დოკუმენტის სუბიექტისთვის/პირისთვის/აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის პირველად ჩაბარების თარიღი.

4. მატერიალური ფორმით წარდგენილი დოკუმენტის სუბიექტის/პირის/აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ჩაუბარებლობის შემთხვევაში იგი სუბიექტს/პირს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას განმეორებით ეგზავნება.

5. ინფორმაცია/დოკუმენტი სუბიექტს/პირს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას ელექტრონული ფორმით წარედგინება ელექტრონული ფოსტის ან/და ანგარიშგების ვებგვერდის (www.reportal.ge) მეშვეობით. ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ინფორმაცია/დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე.

6. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დოკუმენტის ჩაბარებას ადრესატი ელექტრონული საშუალებით ადასტურებს.

7. ანგარიშგების ვებგვერდის (www.reportal.ge) მეშვეობით წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე, რასაც იგი შესაბამისი ტექნიკური საშუალებით ადასტურებს.

8. სამსახურსა და სუბიექტს/პირს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას შორის მიმოწერის წესს ადგენს სამსახური.“.

4. 27-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. სამსახურის მიერ გამოცემული, ძალაში შესული ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი იძულებითი აღსრულება ხდება სამსახურის მიერ დადგენილი წესით გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 26 ნოემბერი 2019 წ.

N5293-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 32) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

„მ) არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია – სხვადასხვა მასალით შექმნილი ობიექტი, რომელიც კულტურულ ფასეულობას მიეკუთვნება: ძეგლი (ქანდაკება, სკულპტურა), ობელისკი, ინსტალაცია (კონცეპტუალური ხელოვნების ობიექტი).“.

2. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. მუნიციპალიტეტის ორგანოების კომპეტენცია კულტურის სფეროში

1. კულტურის სფეროში მუნიციპალიტეტის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო კულტურული პოლიტიკის განხორციელება;

ბ) კულტურის განვითარებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ფონდების ფორმირება;

გ) სახელმწიფო კულტურული პროგრამების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იმ თანხის რაოდენობის დადგენა, რომელიც ნაწილდება აღნიშნული კულტურული პროგრამების მიხედვით, სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;

დ) საქართველოს სამთავრობო დაწესებულებასთან შეთანხმებით მუნიციპალიტეტის კულტურის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ე) კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა;

ვ) მუნიციპალიტეტის კულტურის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შენობებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოწყობა;

ზ) არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შენობებზე, სხვა ნაგებობებსა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სხვა ობიექტებზე კონტროლის დაწესება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება.

2. საქართველოს ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების თაობაზე გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ორგანოები იღებენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით.“.

3. 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლენა, აღრიცხვა, შესწავლა, რესტავრაცია და დაცვა.“.

4. 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან მათ საკუთრებაში მყოფი ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საარქივო და სხვა ანალოგიური ფონდები, უზრუნველყონ მათი შენახვა, ფუნქციონირება და განვითარება.“.

5. 29-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ცენტრალური ბიუჯეტიდან და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან კულტურის სახელმწიფო დაფინანსების საერთო მოცულობა რეგულარულად ზუსტდება იმ დამატებითი დანახარჯების ასანაზღაურებლად, რომლებიც ფასების, ტარიფებისა და ხელფასების ზრდითაა გამოწვეული.“.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტების შესაბამისმა ორგანოებმა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ სათანადო ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 26 ნოემბერი 2019 წ.

N5294-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.018170) 28-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნები შეასრულონ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და შემდგომ პერიოდებში, ხოლო თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს – იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისთვის სრულდება. მესამე კატეგორიის საწარმოებმა ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნები შეასრულონ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და შემდგომ პერიოდებში, ხოლო თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს – იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისთვის სრულდება, და შემდგომ პერიოდებში. მეოთხე კატეგორიის საწარმოებმა ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნები შეასრულონ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და შემდგომ პერიოდებში, ხოლო თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს – იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისთვის სრულდება, და შემდგომ პერიოდებში. მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოები უფლებამოსილი არიან, უზრუნველყონ ანგარიშგების იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის წარდგენა, რომლისთვისაც ეს ამ კანონით არ ევალებათ. ამ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი არ ვრცელდება იმ სუბიექტზე, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) შესაბამისად სავალდებულო აუდიტს ექვემდებარება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 26 ნოემბერი 2019 წ.

N5301-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. ნარჩენების მართვის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 12.01.2015, სარეგისტრაციო კოდი: 360160000.05.001.017608) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 48-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ კოდექსის მე-14 და მე-15 მუხლებითა და 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებები 2025 წლის 1 იანვრამდე არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საქმიანობებზე.“.

2. 49-ე მუხლის 2^1 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. 2020 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ დადგენილებით განსაზღვროს საქმიანობები, რომლებზედაც 2025 წლის 1 იანვრამდე არ ვრცელდება ამ კოდექსის მე-14 და მე-15 მუხლებითა და 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 26 ნოემბერი 2019 წ.

N5302-Iს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №584

2019 წლის 29 ნოემბერი, ქ. თბილისი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმები“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმები

ზოგადი დებულებები

1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმები“ (შემდგომში – კრიტერიუმები) განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში – სამსახური), საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაზღვრავს იურიდიულ პირს საზოგადოებრივი დაინტერესების პირად (შემდგომში – სდპ).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. იურიდიული პირის სდპ-ად განსაზღვრის მიზანია მისი პარტნიორებისა და მესამე პირების ინტერესების დაცვა, იურიდიული პირის მიმართ ნდობის გაზრდა, ფინანსური გამჭვირვალობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, საინვესტიციო გარემოს განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

მუხლი 2. სდპ-ად განსაზღვრის კრიტერიუმები

1. იურიდიული პირი სამსახურის მიერ შეიძლება განისაზღვროს სდპ-ად, თუ იგი არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული საწარმო და, ამასთან, წარმოადგენს სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის 25%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოს და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს პირველი ან მეორე კატეგორიის საწარმოს კრიტერიუმებს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად.

2. ამ მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმის არსებობას სამსახური ადგენს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად სუბიექტის მიერ წარდგენილ ანგარიშგებებში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. სამსახური ასევე უფლებამოსილია, მოიძიოს და დაამუშაოს ასეთი ინფორმაცია, კანონმდებლობის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №593

2019 წლის 3 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №263 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №263 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/06/2016, 340120000.10.003.019328) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის“:

1. **მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. საქართველოში ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელ დანიშნულ ეროვნულ ორგანოებს წარმოადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უფლებამოსილია, განახორციელოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ფუნქციები, საქართველოში ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების ექსპორტ-იმპორტსა და რეექსპორტთან დაკავშირებით.“.

2. **დანართ №1-ის (საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენების, იმპორტის და ექსპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდვას დაქვემდებარებული ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ნუსხა) I ნაწილს (ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ნუსხა, რომლებზეც ვრცელდება წინასწარ დასაბუთებული თანხმობის (PIC) პროცედურა როტერდამის კონვენციის ფარგლებში) დაემატოს შემდეგი შინაარსის** 48-ე, 49-ე, 50-ე, 51-ე, 52-ე, 53-ე **პუნქტები**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„48	კარბოფურანი	1563-66-2	2932.99	პესტიციდი	აკრძალულია
49	ტრიქლორფონი	52-68-6	2931.39	პესტიციდი	აკრძალულია
50	ფორატი	298-02-2	-	პესტიციდი	აკრძალულია
51	მოკლეჯაჭვიანი ქლორირებული პარაფინები (SCCP)	85535-84-8	3824.9	სამრეწველო	აკრძალულია
52	ტრიბუთილკალის ნაერთები: ტრიბუთილკალის ოქსიდი, ტრიბუთილკალის ფტორიდი, ტრიბუთილკალის მეტაკრილატი, ტრიბუთილკალის ბენზოატი, ტრიბუთილკალის ქლორიდი, ტრიბუთილკალის ლინოლეატი, ტრიბუთილკალის ნაფტენატი.	 56-35-9 1983-10-4 2155-70-6 4342-36-3 1461-22-9 24124-25-2 85409-17-2	2931.20 (ნივთიერება) 3808.50 (ნარევი)	სამრეწველო	აკრძალულია
53	ჰექსაბრომოციკლოდოდეკანი კომერციული (ბრომის პოზიციების დაკონკრეტების გარეშე) 1,2,5,6,9,10 – ჰექსაბრომოციკლოდოდეკანი α – ჰექსაბრომოციკლოდოდეკანის სტერეოიზომერი β – ჰექსაბრომოციკლოდოდეკანის სტერეოიზომერი γ – ჰექსაბრომოციკლოდოდეკანის სტერეოიზომერი	25637-99-4 3194-55-6 134237-50-6 134237-51-7 134237-52-8	2903.89	სამრეწველო	აკრძალულია.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №595

2019 წლის 5 დეკემბერი, ქ. თბილისი

„პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/04/2017, 010320000.10.003.019920) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს მთავრობის წევრები ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, 5 სამუშაო დღით ადრე მიმართავენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს თანხმობის მისაღებად. მიმართვაში უნდა აღინიშნოს ინფორმაცია ვიზიტის მიზნის, ხანგრძლივობისა და დელეგაციის შემადგენლობის თაობაზე.

4[1]. საქართველოს მინისტრის/სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ან ანგარიშვალდებული, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორი და მისი მოადგილე (მოადგილეები), საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, 10 სამუშაო დღით ადრე მიმართავენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს თანხმობის მისაღებად. მიმართვაში უნდა აღინიშნოს მივლინების მიზანი, მივლინების დაწყებისა და დასრულების თარიღი, მივლინების დღის წესრიგი (მათ შორის, მოსალოდნელი შეხვედრები და განსახილველი საკითხები), ასევე ინფორმაცია დელეგაციის შემადგენლობის, მივლინების ხარჯების ოდენობისა და ანაზღაურების თაობაზე. მივლინებაში გამგზავრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ წერილობითი თანხმობის გაცემის შემთხვევაში.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №604

2019 წლის 6 დეკემბერი, ქ. თბილისი

„მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №633 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №633 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/12/2015, 010110020.10.003.019020) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მეწარმე სუბიექტი, რომელსაც მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, ვალდებულია, საქმიანობას ახორციელებდეს მხოლოდ შესაბამისი მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე. თუ პირი მის მიერ მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე წარმოებული/გადამუშავებული პროდუქციის მიწოდებას ახორციელებს მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიის გარეთ, მისი საქმიანობის ადგილად ასევე განიხილება მაღალმთიანი დასახლების ტერიტორია.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №597

2019 წლის 5 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/05/2012, 040030000.10.003.016848) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 3. ამ დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფები არ ვრცელდება: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე; საქართველოს პროკურატურაზე; საქართველოს დაზვერვის სამსახურზე; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების საგამოძიებო დანაყოფებზე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას. მათ მიმართ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მომსახურებას განახორციელებს საზღაურის გარეშე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ გავრცელდეს 2019 წლის 9 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №606

2019 წლის 6 დეკემბერი, ქ. თბილისი

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი“.

მუხლი 2

დადგენილების მოქმედების ვადად განისაზღვროს გამოქვეყნებიდან 1 წელი.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი

მუხლი 1. **ზოგადი დებულებები**

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ადგენს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (შემდგომში – საწარმო) მიერ საქონლისა (დანართი №1) და მომსახურების (დანართი №2) შესყიდვების სპეციალურ წესს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ამ წესის მიზანია, თანდართული №1 და №2 დანართებით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შესყიდვების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფა.

3. შესყიდვა, რომელზეც არ ვრცელდება ეს წესი, რეგულირდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შესყიდვა – საწარმოს მიერ ამ წესის დანართ №1-ითა და დანართ №2-ით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაცია– სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“;

გ) შესყიდვის ობიექტი– შესასყიდი საქონელი, მომსახურება;

დ) საქონელი– წესის დანართ №1-ში მოცემულ ჩამონათვალში მითითებული საქონლის სახეები;

ე) მომსახურება– წესის დანართ №2-ში მოცემულ ჩამონათვალში მითითებული მომსახურების სახეები;

ვ) მიმწოდებელი – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ;

ზ) გამარტივებული შესყიდვა – შესყიდვის საშუალება, როდესაც დასაშვებია მიმწოდებლის პირდაპირი შერჩევა;

თ) შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება – ამ წესის შესაბამისად დასადები ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 3. საწარმოს უფლება-მოვალეობები

1. საწარმო უფლებამოსილია:

ა) შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება);

ბ) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა;

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების არსებობისას.

2. საწარმო ვალდებულია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) განახორციელოს შესყიდვის პროცედურები საწარმოს მიერ შესყიდვებისათვის დამტკიცებული ბიზნესგეგმის ფარგლებში, ამ წესით გათვალისწინებული პირობების დაცვით;

ბ) საქონლის მიწოდებისთანავე, მომსახურების გაწევისთანავე აუნაზღაუროს მიმწოდებლებს საქონლის, მომსახურების ღირებულება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 4. შესყიდვის საშუალება

1. გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებით ხორციელდება ამ წესის №1 და №2 დანართებით განსაზღვრული საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვა.

2. ამ წესის დანართებში მითითებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს დირექტორთა საბჭო.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესით განსაზღვრული საქონლისა (დანართი №1) და მომსახურების (დანართი №2) შესყიდვის ობიექტის კონკრეტული სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს (დღგ-ის გარეშე), საწარმოს დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის თაობაზე, შესაბამისი შესყიდვის განხორციელებამდე, წერილობით უნდა შეთანხმდეს შემსყიდველი ორგანიზაციის აქციების მმართველ პირთან – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას შესყიდვის საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 5. შესყიდვის ხელშეკრულების დადება

1. ამ წესის დანართ №1-სა და დანართ №2-ში მითითებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის იდება ხელშეკრულება/შეთანხმება, რომელიც შესაძლებელია, გაფორმდეს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ან სხვა უცხო ენებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულება შესაძლებელია, ჩანაცვლდეს შემდეგი დოკუმენტაციით:

ა) ინვოისით ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტით, რომელშიც განსაზღვრული იქნება შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესყიდვის ობიექტის ღირებულება, ან/და

ბ) შესყიდვის ობიექტის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტით.

3. შემსყიდველს არ აქვს ვალდებულება, ამ წესით განხორციელებულ შესყიდვებზე მიღებული გადაწყვეტილება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით შეათანხმოს სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან. ასევე არ აქვს ვალდებულება, განახორციელოს ბიზნეს-გეგმის, ხელშეკრულების, ფაქტობრივი გადახდებისა და ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშის წარდგენა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 6. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობები

შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის მიერ.

მუხლი 7. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, გამოყოს შესაბამის პირთა ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი).

2. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

ა) ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების ჯეროვანი შესრულების კონტროლი, უფლებამოსილი პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე დადგენილი მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების შესრულებასთან შესაბამისობის დადასტურება;

გ) საქონლის ან/და მომსახურების მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება;

ე) ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.

3. უფლებამოსილი პირის მიერ ჩასაბარებელი საქონლის ან/და მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, აუცილებლობის შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი შესყიდული საქონლის ან/და მომსახურების მოთხოვნასთან შესაბამისობას ადასტურებს ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნაზე ხელმოწერით.

4. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, აწარმოოს საქონლის ან მომსახურების ხარისხის ინსპექტირება შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, ნედლეულისა და მაკომპლექტებელი ნაწილების ხარისხისა და სუბკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების (მომსახურების) ინსპექტირება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 8. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

დანართი №1

№	საქონლის დასახელება
1	ნედლი ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ქიმიური მრეწველობის პროდუქტები
2	ნედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების ან/და ქიმიური მრეწველობის პროდუქტების გადაზიდვის/ტრანსპორტირების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საქონელი
3	ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან, შესაბამისი ობიექტების მოვლა-პატრონობასა და ლიკვიდაციის წარმოებასთან დაკავშირებული საქონელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №2

№	მომსახურების დასახელება
1	ნედლი ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ნავთობპროდუქტების ან/და ქიმიური მრეწველობის პროდუქტების გადაზიდვასთან/ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მომსახურება
2	ნედლი ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ნავთობპროდუქტების ან/და ქიმიური მრეწველობის პროდუქტების გადაზიდვის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა (სატერმინალო მომსახურება, გადამზიდავი ტექნიკის ქირავნობა, გზის მომსახურების გადასახადები და სხვა)
3	ნედლი ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ნავთობპროდუქტების ან/და ქიმიური მრეწველობის პროდუქტების გადაზიდვის მომსახურების გაწევისათვის საჭირო საერთაშორისო დაზღვევისა და რისკების შეფასების მომსახურება
4	საბანკო-საკრედიტო მომსახურება
5	იურიდიული მომსახურება, მათ შორის, სასამართლოში ან/და საარბიტრაჟო დაწესებულებაში ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანოში არსებულ ან/და მოსალოდნელ დავებსა და აგრეთვე დავების მორიგებით დასრულებასთან დაკავშირებულ პროცედურებში საწარმოს ინტერესების დაცვის მიზნით აუცილებელი იურიდიული და სხვა ტიპის მომსახურებები (მათ შორის და არა მარტო, მოწმეების, ექსპერტებისა და თარგმნების ტრანსპორტირების, საცხოვრებლის დაქირავებისა და შესაბამის პროცედურებში მონაწილეობასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯების ჩათვლით)
6	მთარგმნელობითი მომსახურება
7	ფასიანი ქაღალდების ან/და კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციებთან დაკავშირებული საკონსულტაციო, ფინანსური, სარეიტინგო, აუდიტორული, საბროკერო და სხვა აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება
8	გაზსაცავთან ან/და თბოელექტროსადგურთან ან/და განახლებადი ენერგიების მაგენერირებელი ობიექტების ან/და საქართველოზე გამავალი ან/და საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის განვითარებისათვის მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო ენერგეტიკულ სატრანზიტო პროექტებთან ან/და ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან ან/და ნავთობისა და გაზის ობიექტების მოვლა-პატრონობის ან ლიკვიდაციის წარმოებასთან ან/და ნავთობისა და გაზის წილობრივ განაწილებასთან ან/და ნედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების ან/და ბუნებრივი გაზის ან/და გათხევადებული გაზის ან/და ქიმიური მრეწველობის პროდუქტების შესყიდვასთან ან/და რეალიზაციასთან ან/და გადაზიდვასთან/ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო (მათ შორის, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (განხორციელებადობის კვლევის) მომსახურების ჩათვლით), აუდიტორული (მათ შორის, შეფასების მომსახურების ჩათვლით), საექსპერტო, ტექნოლოგიური, საოპერაციო, ფასების ლიცენზირებული მონაცემთა ბაზისა და ოპერაციული პროგრამული პაკეტების წვდომის, სამეცნიერო, საინჟინრო, საპროექტო და საზედამხედველო
9	ნედლი ნავთობის, ნავთობპროდუქტების ან/და ქიმიური მრეწველობის პროდუქტების შესყიდვასთან ან/და რეალიზაციასთან ან/და გადაზიდვასთან/ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარისხისა და რაოდენობის დადგენის მომსახურებები
10	მარკეტინგული, საიმიჯო (მათ შორის, საწარმოს რებრენდინგთან, ვებგვერდისა და წლიური ანგარიშების შექმნასთან დაკავშირებული მომსახურებები) და საქართველოს საზღვრებს გარეთ საინფორმაციო/მედიასერვისებსა და პუბლიკაციებთან დაკავშირებული მომსახურებები
11	პერსონალის სწავლებისა და ტრენინგების მომსახურება
12	მისასვლელი ლაინდაგების ექსპლუატაციისთვის საჭირო მომსახურებები

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №608

2019 წლის 6 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში (სსმ, №94, 12/08/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების 3^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3^1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის პირდაპირი წესი

1. საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, ლიცენზიის გამცემმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია შესაძლებელია, პირდაპირი წესით გასცეს:

ა) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 87-ე პუნქტით გათვალისწინებული წყალმომარაგების ლიცენზიის მფლობელ პირზე – მომხმარებელთა წყალმომარაგებით (სასმელი წყლით) უზრუნველყოფის მიზნით მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოსაპოვებლად;

ბ) ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისთვის სასარგებლო წიაღისეულის – სამკურნალო ტალახის ან/და გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლების მოსაპოვებლად (მოპოვებისთვის, შესწავლა-მოპოვებისთვის).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წყალმომარაგების ლიცენზიის გაუქმება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაუქმების საფუძველია.

3. ლიცენზიის გამცემმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია შეიძლება პირდაპირი წესით გასცეს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოსაპოვებლად, წელიწადში არაუმეტეს 5 000 (ხუთი ათასი) კუბური მეტრის მოპოვების უფლებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირდაპირი წესით მიღებით დაინტერესებული ლიცენზიის მაძიებელი სააგენტოს ავტომატური მართვის საშუალებით – ელექტრონული პროგრამის მეშვეობით წარუდგენს სათანადო წერილობით განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობის, ადგილმდებარეობისა და მოპოვების მიზნის შესახებ.

5. ლიცენზიის მაძიებელმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (მოპოვების, შესწავლა-მოპოვების) ლიცენზიის პირდაპირი წესით მისაღებად ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა დაურთოს:

ა) მონაცემები მოსაპოვებელი რესურსის სახეობის, ოდენობის, ადგილმდებარეობის – სავარაუდო X და Y კოორდინატების მითითებით, გეოინფორმაციული სისტემების (shape) ფაილებითა და ლიცენზიის მოქმედების ვადის შესახებ;

ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს რეესტრიდან ამონაწერები, ფიზიკური პირის შემთხვევაში – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების ასლები;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში – სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები;

დ) განცხადებით გათვალისწინებული ტერიტორიის კერძო საკუთრებაში არსებობისას – კერძო საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და მესაკუთრის თანხმობა ლიცენზიის გაცემის თაობაზე ნოტარიულად დამოწმებული ფორმით (გარდა შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის შემთხვევისა შესწავლის ეტაპზე).

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია, ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში აღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად წარადგინოს წყალმომარაგების ლიცენზიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

7. ლიცენზიის მაძიებელმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირდაპირი წესით მისაღებად ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას აგრეთვე უნდა დაურთოს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა და ბიუჯეტში გადახდის წესი განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული ლიცენზიის პირდაპირი წესით გასაცემად ლიცენზიის გამცემი ადგენს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) მოთხოვნებს კონკრეტული ობიექტით სარგებლობისთვის;

ბ) დამატებით სალიცენზიო პირობებს ლიცენზიის მაძიებლისთვის.

9. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია, ლიცენზიის გამცემის შეტყობინების მიღების შემდგომ გადაიხადოს „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი, თუ ლიცენზიის გამცემის ინიციირების საფუძველზე, სამინისტროს წარდგინებითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სხვა ფასი არ იქნება დადგენილი.

10. ლიცენზია გაიცემა ლიცენზიის ფასის გადახდის დადასტურებიდან 30 დღის ვადაში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №365

2019 წლის 2 დეკემბერი, ქ. თბილისი

,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით (სსმ III, 03.08.2005წ., №91, მუხ.1035) დამტკიცებულ „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხაში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტის „ჰ.ჰ.კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ.ჰ.კ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი; პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატი; პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატი; მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი (გარდა სერტიფიკატის დანართისა); პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – პროფესიული დიპლომი; სახელობო განათლების სერტიფიკატის დუბლიკატი; საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი; სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი; ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატი;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №369

2019 წლის 5 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების (ვებგვერდი, 31/12/2002, სარეგისტრაციო კოდი: 190.040.000.11.117.005.640) დანართ №1-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „საზღვაო სანავიგაციო ნიშნების კონსტრუქციებსა და მაკომპლექტებელ მოწყობილობებს“ მიენიჭოს კოდი 10 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

10 – საზღვაო სანავიგაციო ნიშნების კონსტრუქციები და მაკომპლექტებელი მოწყობილობები“

2. ძირითადი აქტივების ჯგუფს – „საზღვაო სანავიგაციო ნიშანი – საზღვაო ქერქეჭელა – 20.0“-ს მიენიჭოს შიფრი 1001 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1001	საზღვაო სანავიგაციო ნიშანი – საზღვაო ქერქეჭელა	20.0

3. ძირითადი აქტივების ჯგუფს – „საზღვაო სანავიგაციო ნიშანი – საზღვაო სარყე – 25.0“-ს მიენიჭოს შიფრი 1002 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1002	საზღვაო სანავიგაციო ნიშანი – საზღვაო სარყე	25.0

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. ძირითადი აქტივების ჯგუფის – „საზღვაო სანავიგაციო ნიშანი – საზღვაო სარყე – 25.0“-ს შემდეგ დაემატოს „საჰაერო ტრანსპორტი და მოწყობილობა“ და ძირითადი აქტივების ჯგუფი შემდეგი რედაქციით:

11 – საჰაერო ტრანსპორტი და მოწყობილობა		
1101	საჰაერო ხომალდები	2.0

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №372

2019 წლის 5 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №254 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №254 ბრძანებაში (ვებგვერდი, 27/08/2019, სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.017229) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. **„საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის“ (დანართი №1) პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენა, რაც ფიქსირდება საბაჟო სამართალდარღვევის ოქმით (დანართი №1-01) ან საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შემოწმების აქტით.“.

2. **„საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები და მათი განხორციელების წესის“ (დანართი №2) პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შემოწმების აქტის საფუძველზე სამართალდარღვევისთვის საბაჟო სანქციის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირები;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №373

2019 წლის 6 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით (ვებგვერდი, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.017230) დამტკიცებული:

1. **„საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1):**

ა) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ე“ ქვეპუნქტი:

„ა.ე) 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის:

ა.ე.ა) 3^1 და მე-14 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული ერთზე მეტი გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

ა.ე.ბ) მე-4 ან მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის (იმპორტის გადასახდელების ოდენობის 1000 ლარზე მეტით შემცირებისათვის) დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

ა.ე.გ) მე-10 ან მე-11 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის (4000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონლის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადაადგილებისათვის) დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ე.დ) 3^2, მე-7, მე-16, მე-19, 26-ე ნაწილებით ან/და 290-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;";

ბ) 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა) საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 168-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 172-ე და 173-ე მუხლებით, 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-10, მე-11, მე-19–21-ე ნაწილებით გათვალისწინებული:

ბ.ა.ა) პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა, ან

ბ.ა.ბ) სამართალდარღვევის გამოვლენიდან უწყვეტი 6 თვის გასვლა;";

გ) 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ"-„ვ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) იმპორტის გადასახდელის ოდენობის 1000 ლარზე მეტით შემცირებისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით, 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-4 ან მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არსებობა;

დ) 4000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონლის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადაადგილებისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით, 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ან მე-11 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არსებობა;

ე) საქართველოს საბაჟო კოდექსის 172-ე მუხლით, 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19 ან 19^1 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არსებობა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) საბაჟო ღირებულების 4000 ლარზე მეტით გაზრდის ან შემცირებისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 173-ე მუხლით, 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-20 ან 21-ე ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არსებობა;“.

2. **„საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2):**

ა) პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„მუხლი 11. საბაჟო კონტროლის ზონა

1. საბაჟო საწყობის და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ტერიტორიებზე საბაჟო კონტროლის ზონები იქმნება აღნიშნულ საქმიანობებზე ნებართვების გაცემასთან ერთად. სხვა შემთხვევებში (საქართველოს საბაჟო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა) საბაჟო კონტროლის ზონა იქმნება საბაჟო ორგანოს უფროსის ბრძანებით, ტერიტორიის მესაკუთრესთან ან მფლობელთან შეთანხმებით.

2. საქართველოს საბაჟო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბაჟო ორგანოს უფროსის ბრძანებით, საბაჟო ორგანოს ან სხვა დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) ინიციატივით, შესაძლებელია განისაზღვროს საბაჟო ფორმალობის მუდმივი ან დროებითი განხორციელებისთვის საჭირო სხვა ადგილი, რომელიც ასევე წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას.

3. სხვა ადგილზე საბაჟო კონტროლის ზონის განსაზღვრის შესახებ განმცხადებლის ინიციატივის შემთხვევაში, პირი წერილობით მიმართავს საბაჟო ორგანოს და წარუდგენს დასაბუთებულ ინფორმაციას მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის საჭიროების თაობაზე.

4. საბაჟო კონტროლის ზონა უნდა იმყოფებოდეს ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ. ამისათვის იგი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ საბაჟო ორგანოს საშუალება ჰქონდეს თვალყური ადევნოს საბაჟო კონ-ტროლის ზონის მთელ ტერიტორიას, მიიღოს ინფორმაცია პირების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ზონის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ.

5. საბაჟო საწყობის, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ტერიტორიებზე, საქონლის შენახვის სხვა ადგილებზე და საბაჟო ფორმალობის მუდმივი ან დროებითი განხორციელებისთვის საჭირო სხვა ადგილებში საბაჟო კონტროლის ზონა უქმდება აღნიშნულ საქმიანობებზე ნებართვის/თანხმობის გაუქმებასთან ერთად. ამასთან, ასეთი ტერიტორია ჩაითვლება დროებით საბაჟო კონტროლის ზონად მასში არსებული საქონლის გაფორმებამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონაში გადატანამდე.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ) 44-ე მუხლის:

ზ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შემოწმების აქტი“;

ზ.ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ ინსტრუქციის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში (დეკლარანტის განცხადების საფუძველზე) კამერალური ან გასვლითი შემოწმების ჩატარებისას, შედეგები ფორმდება „საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შემოწმების აქტით“ დანართი №2-VI-01-ის შესაბამისად.

2. ამ ინსტრუქციის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული შემთხვევისა) კამერალური ან გასვლითი შემოწმების შედეგები ფორმდება „საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შემოწმების აქტით“ დანართი №2-VI-02-ის შესაბამისად.“;

გ) 45-ე მუხლის:

გ.ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგები აისახება საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შემოწმების აქტში, რომელიც მტკიცდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანებით.

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) მე-13 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში, როდესაც კონტროლი ხორციელდება დეკლარანტის წერილობითი განცხადების შესაბამისად, საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შემოწმების აქტის საფუძველზე, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას – საბაჟო დეკლარაციაში ან/და რეექსპორტის დეკლარაციაში ცვლილების შეტანის შესახებ.“;

გ.ბ) მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენისას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი შედეგებს აფიქსირებს საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შემოწმების აქტში.“;

დ) დანართი №2-VI-01 და დანართი №2-VI-02 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. „გარანტიის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №4):

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ა) ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №6) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ან „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №9) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ ან „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა ადგილზე საქონლის შენახვის შემთხვევაში;“;

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იგი აკმაყოფილებს ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს;“.

4. „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №6) პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №7) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“-„ნ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“/„ბათუმის“ დანიშნულებით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადა შეადგენს 12 საათს, რომელიც აითვლება სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით რეგისტრაციის მომენტიდან/მოწმობის რეგისტრაციის მომენტიდან და დასრულდება გამოცხადებისას საბაჟო საწყობის ან გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ ელექტრონულად დადასტურებით, ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციით (დანართი №3) განსაზღვრული წესით;

მ) ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობიდან ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთიდან“/„ბათუმიდან“ ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადა შეადგენს 12 საათს, რომელიც აითვლება საბაჟო საწყობიდან ან გაფორმების ეკონომიკური ზონიდან სატრანსპორტო საშუალების გაშვების ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან და დასრულდება ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურში გამოცხადების ელექტრონულად დადასტურებით;

ნ) ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული ერთი საბაჟო საწყობიდან იმავე რადიუსში განლაგებულ მეორე საბაჟო საწყობამდე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადა შეადგენს 1 საათს, რომელიც აითვლება საბაჟო საწყობიდან სატრანსპორტო საშუალების გაშვების ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან და დასრულდება მეორე საბაჟო საწყობში გამოცხადების ელექტრონულად დადასტურებით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2) 1[1] მუხლის (გარდა ამავე მუხლის მე-3 პუნქტისა) მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №2-VI-01

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შემოწმების აქტი
(დეკლარანტის განცხადების საფუძველზე)

—— ———————— 20 —— წელი

1. კონტროლის სახე ————————————
(კამერალური/გასვლითი)

2. კონტროლის საფუძველი ————————————————————————
(დეკლარანტის განცხადების/საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის
ბრძანების ნომერი და თარიღი)

3. საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის №, თარიღი ————————————

4. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირ(ებ)ი:
———————————————————————————————————
———————————————————————————————————
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

5. დეკლარანტი
———————————————————————————————————
———————————————————————————————————
(დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი)

6. კონტროლის შედეგები
———————————————————————————————————
———————————————————————————————————
———————————————————————————————————
———————————————————————————————————
———————————————————————————————————

7. ხელმოწერები:
საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ————————————
დეკლარანტი ————————————
8. შენიშვნა:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №2-VI-02

ШЕМОСАВЛЕБІС
САМСАХУРІ

_____

(დეკლარანტის დასახელება)

საქონლის გაშვების შემდგომიკონტროლის
შემოწმების აქტი

№	
შედგენის თარიღი:	

მონაცემები კონტროლის შესახებ

კონტროლისგანხორციელებისსაფუძველი	
კონტროლისსახე	
კონტროლისტიპი	
კონტროლისდაწყების თარიღი	
შესამოწმებელი პერიოდი	

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი — დეკლარანტი

სახელი, გვარი ---------- სახელი, გვარი ----------

სახელი, გვარი ---------- სახელი, გვარი ----------

ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ

საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი	
დეკლრანტის დასახელება	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
საკონტაქტო ტელეფონი/ელფოსტა	
საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თარიღი	
დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი	
ხელმძღვანელი	
დამფუძნებელი	
საქმიანობის სახე	

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი — დეკლარანტი

სახელი, გვარი ---------- სახელი, გვარი ----------

სახელი, გვარი ---------- სახელი, გვარი ----------

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქონლის საბაჟო ღირებულებისა და იმპორტის გადასახდელის დარიცხვის სისწორის შემოწმება

საბაჟო დეკლარაცია ან/და რეექსპორტის დეკლარაცია	თარიღი	დეკლარაციით					შემოწმებით					სხვაობა				ჯა-ნი
		საბაჟო ღირებულება	იმპორტის გადასახადი	აქციზი	დღგ	სხვა	საბაჟო ღირებულება	იმპორტის გადასახადი	აქციზი	დღგ	სხვა	საბაჟო ღირებულება	იმპორტის გადასახადი	აქციზი	დღგ	სხვამ

ფაქტობრივი გარემოებები: ----------

შენიშვნა: ----------

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი
სახელი, გვარი ----------
სახელი, გვარი ----------

დეკლარანტი
სახელი, გვარი ----------
სახელი, გვარი ----------

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგები
- დარიცხული იმპორტის გადასახდელი

გადასახადი სახე	ძირითადი დარიცხული თანხა -
იმპორტის გადასახადი	-
აქციზი	-
დღგ	-
სხვა	-
სულ ძირითადი გადასახდელი	-

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

- დარიცხული ჯარიმა

სანქციის სახე	გადასახდელი თანხა.
---------ე მუხლის მე------- ნაწილი	
---------ე მუხლის მე------- ნაწილი	
---------ე მუხლის მე------- ნაწილი	
სულ გადასახდელი ჯარიმა	

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი — დეკლარანტი

სახელი, გვარი ---------- სახელი, გვარი ----------

სახელი, გვარი ---------- სახელი, გვარი ----------

დასკვნები და რეკომდენდაციები

საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საურავის დარიცხვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი — დეკლარანტი

სახელი, გვარი ---------- სახელი, გვარი ----------

სახელი, გვარი ---------- სახელი, გვარი ----------

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №367

2019 წლის 2 დეკემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 25^1 მუხლის მე-15 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-16 პუნქტი:

„16. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პირველადი (სამრეწველო გადამუშავებამდე - სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პროდუქციის დაფასოება არ წარმოშობს სასაქონლო ზედნადების გამოწერის ვალდებულებას, ამ საქონლის ტრანსპორტირებისას ან/და მიწოდებისას.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №371

2019 წლის 5 დეკემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №42012

2019 წლის 3 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 10 ივლისის №22970 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 10 ივლისის №22970 ბრძანებით დამტკიცებული „ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები“ (დანართი №1) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის 2019 წლის 15 ნოემბრის №7 სხდომის ოქმი.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1

ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური

ზღვრული ნორმები

ოპერაციების დასახელება	დანაკარგი წონიდან %-ში
პროპილისა და იზოპროპილის სპირტი სეს ესნ კოდი: 2905 12	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,80
მეთილის სპირტი სეს ესნ კოდი: 2905 11	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,15
პარაქსილოლი სეს ესნ კოდი: 2902 43	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,30
პიროლიზული ფისი სეს ესნ კოდი: 3911 90 990 00	
სარკინიგზო გადაზიდვები	1,00
ვაკუუმური გაზოილი სეს ესნ კოდი: 2710 19 310 00, 2710 19 350 00.	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,60
აირის კონდენსატი ბუნებრივი სეს ესნ კოდი: 2709 00 100	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,75
ნავთობის აირები გათხევადებული სეს ესნ კოდი: 2711 **ნახშირწყალბადები აციკლური** სეს ესნ კოდი: 2901	
სარკინიგზო გადაზიდვები	0,90
შენახვა	1,10

შენიშვნა: შენახვის დანაკარგი ასევე მოიცავს მიღებისა და გაცემის დანაკარგს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №42255

2019 წლის 4 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №7) მე-4 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №42256

2019 წლის 4 დეკემბერი, ქ. თბილისი

„შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის, საბაჟო და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის, საბაჟო და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა^{1}“ ქვეპუნქტი:

„ა1) ინფორმაცია გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ – დანართი №2^{1};“.

2. „შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის, საბაჟო და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1 („შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობა და მოწვეული სპეციალისტები“) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. „შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის, საბაჟო და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებით დამტკიცებული „შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის“ (დანართი №2):

ა) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. იმ შემთხვევაში, თუ მიზანშეწონილად ჩაითვლება საჩივრის საბჭოს სხდომაზე განხილვა, დასკვნის მიღების ან დასკვნის მისაღებად მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, დავების დეპარტამენტი უზრუნველყოფს საბჭოზე განსახილველად საკითხის მომზადებას, საბჭოს მომდევნო/უახლოესი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენას და საბჭოს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წევრებისათვის ელექტრონული ფოსტით გადაგზავნას. დღის წესრიგი თანხმდება საბჭოს თავმჯდომარესთან/მოადგილესთან.";

ბ) მე-3 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;";

ბ.ბ) 1^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. გადასახადის გადამხდელის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, დავების დეპარტამენტის თანამშრომელი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის იმ ნაწილის აუდიო ჩაწერას, რომელზეც ესწრება გადასახადის გადამხდელი ან/და მისი წარმომადგენელი.";

ბ.გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოს თავმჯდომარის/მოადგილის ინიციატივით ან გადასახადის გადამხდელის თხოვნით, შესაძლებელია საკითხის განხილვა გადაიდოს სხვა დროისათვის.";

ბ.დ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საბჭოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება ოქმი, რომელიც ვიზირებული უნდა იყოს საბჭოს იმ წევრების მიერ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საკითხის განხილვაში. სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე/მოადგილე და საბჭოს აპარატის თანამშრომელი, რომელიც ადგენს ოქმს.";

ბ.ე) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. საბჭოს სხდომაზე განხილულ საჩივართან დაკავშირებით დამტკიცებული რეკომენდაციის შესაბამისად, დავების დეპარტამენტი უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებასა და შემოსავლების სამსახურის უფროსისთვის/სამსახურის უფროსის მოადგილისათვის (დელეგირების შემთხვევაში) წარდგენას.";

ბ.ვ) მე-15 და მე-16 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად პასუხისმგებელმა დეპარტამენტმა შესაბამისი აქტის აღსრულების შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს დავების დეპარტამენტს არაუგვიანეს აქტის აღსრულების თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, ამ ბრძანების №2^1 დანართის შესაბამისად.

16. ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის უფროსს დავების დეპარტამენტმა უნდა მიაწოდოს ინფორმაციის მიღების თვის 15 რიცხვამდე. აღუსრულებელი გადაწყვეტილებების შესახებ ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია შესწავლისა და რეაგირებისათვის სამსახურის უფროსის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მიერ გადაეცემა შემოსავლების სამსახურის სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტს.“;

გ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გადასახადის გადამხდელის წარმომადგენლის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, განცხადებას ასევე უნდა დაერთოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც სპეციალურად უნდა იყოს მითითებული ჩანაწერი ასეთი უფლებამოსილების არსებობის შესახებ.“;

დ) მე-4 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 მუხლი:

„მუხლი 5. საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების განმარტება

1. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე საგადასახადო/საბაჟო ორგანო მიმართავს გადაწყვეტილების მიმღებ პირს.

2. გადაწყვეტილების განმარტება ხდება იმავე ფორმითა და წესით, როგორც გადაწყვეტილება იქნა მიღებული.“.

4. დანართი №2-ის შემდეგ დაემატოს დანართი №2[1] , თანდართული რედაქციით.

5. შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის უფროსის ვაკანტური თანამდებობის შევსებამდე, ამ პუნქტით დადგენილი პრიორიტეტულობით, ზეპირი განხილვისას შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს სხდომას წარმართავს და ხელმძღვანელობს:

ა) შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) შემოსავლების სამსახურში საჩივრების განხილვასთან, სასამართლო დავებთან და გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგთან დაკავშირებული პროცესების კოორდინატორი (შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს წევრი).

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1

შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობა და მოწვეული სპეციალისტები

შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობა		
1.	ლევან კაკავა	შემოსავლების სამსახურის უფროსი (საბჭოს თავმჯდომარე)
2.	ზურაბ ძნელაშვილი	შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
3.	ნინო ფოდიაშვილი	შემოსავლების სამსახურში საჩივრების განხილვასთან, სასამართლო დავებთან და გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგთან დაკავშირებული პროცესების კოორდინატორი
4.	შალვა კოპალეიშვილი	დავების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე
5.	რომან ბუღაძე	საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი
6.	ლევან წითელაშვილი	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
7.	შოთა ვალიშვილი	აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
8.	მერაბ არახამია	საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
9.	გიორგი მაისურაძე	იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მ/შ

მოწვეული სპეციალისტები		
1.	ირინე სალუქვაძე	აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
2.	პაატა ბუხნიკაშვილი	საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი
3.	ირაკლი ლაშხია	ანალიტიკური დეპარტამენტის საგადასახადო დავალიანების მართვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილე
4.	დიმიტრი ამისულაშვილი	საბაჟო დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსის მოადგილე
5.	ნინო შამანაური	მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
6.	ლევან სირანაშვილი	საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის საგადასახადო კონტროლის მეთოდოლოგიის სამმართველოს უფროსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ცხრილი N21

ინფორმაცია

საგადასახადო/საბაჟო დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ

N	საბრალდებო აქტის/ გადაწყვეტილების ნომერი	სგბ ან სგ	საგადასახადო/საბაჟო დავაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე მოსარგებლე პირის/ პირთა/ სუბიექტის/ სუბიექტთა დასახელება	საგადასახადო/საბაჟო დავაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი	საგადასახადო/საბაჟო დავაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღი	მაკორექტირებელი ეროვნული ბანკის ნომერი	მაკორექტირებელი ეროვნული ბანკის თარიღი	აღსრულებულია ბიუჯეტისა და ეროვნული ბანკის მიმართ	აღსრულებულია ეროვნული ბანკის მიმართ	შენიშვნა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

p r o e q t i

პროექტი

საქართველოს კანონი

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

gagrZelebaa

dasawyisi ix. #22, 2019

14. თუ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს აქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტული მწარმოებლის მიერ წარმოებული კონკრეტული პროდუქტი ან/და პროდუქტების სერია არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, იგი უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის/დადასტურებული საფრთხის შესაბამისად, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორს პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერება, ბაზრიდან ამოღება, გამოთხოვა ან/და განადგურება ეკონომიკური ოპერატორის ხარჯზე.

15. თუ შემოწმებით გამოვლინდა დოკუმენტური შეუსაბამობა ან/და ტექნიკური შეუსაბამობა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს ამ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად განუსაზღვროს გონივრული ვადა არაუმეტეს 30 დღისა. თუ ეკონომიკური ოპერატორი აღნიშნულ ვადაში ვერ აღმოფხვრის შეუსაბამობას, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს პროდუქტის რეალიზაციის შეჩერება შეუსაბამობის აღმოფხვრამდე. შეუსაბამობის აღმოფხვრის შემთხვევაში ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს. სააგენტო ვალდებულია გადაამოწმოს შეუსაბამობის აღმოფხვრის ფაქტი.

16. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო გონივრულ ვადაში განმეორებით შეამოწმებს ეკონომიკური ოპერატორის მიერ აღნიშნული დადგენილების შესრულების ფაქტს. თუ დადგენილების შესრულების განმეორებითი შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ეკონომიკურ ოპერატორს პროდუქტის რეალიზაცია არ შეუჩერებია, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ კოდექსის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

17. თუ პროდუქტი არ შეესაბამება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეიცავს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, საკუთრებისთვის ან/და გარემოსთვის, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ.

18. თუ პროდუქტი არ შეესაბამება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს, ამასთანავე, შეიცავს და რეალიზაციის შემდეგ, გამოყენების სტადიაზე ინარჩუნებს სერიოზულ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, საკუთრებისთვის ან/და გარემოსთვის, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქტის გამოთხოვის შესახებ.

19. თუ პროდუქტი შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, კერძოდ, პროდუქტი შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, მათ შორის, ბირთვულ ნაერთებს, ან თუ პროდუქტი შეიცავს სხვაგვარ საფრთხეს, კერძოდ, პროდუქტი გადამუშავების შემდეგ შესაძლოა ინარჩუნებდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისა და გარემოსთვის, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პროდუქტის განადგურების შესახებ.

20. პროდუქტის ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვის ან განადგურების შესახებ დადგენილებაში ეკონომიკურ ოპერატორს განესაზღვრება გონივრული ვადა აღნიშნული პროცესის კომპლექსურობიდან და სირთულიდან გამომდინარე. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს წერილობით შეატყობინოს პროდუქტის ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვის ან განადგურების პროცესის დასრულების შესახებ. პროდუქტის ბაზრიდან ამოღებისთვის, გამოთხოვისთვის ან განადგურებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე ეკონომიკურ ოპერატორს ეკრძალება პროდუქტის რეალიზაცია.

21. თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს აქვს ინფორმაცია დადასტურებული საფრთხის შემცველი კონკრეტული პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის თაობაზე, იგი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა აღნიშნული პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის დაუშვებლობის შესახებ და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს.

22. ამ მუხლის მე-14, მე-15, მე-17–მე-20 და 27-ე ნაწილებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიიღება დადგენილებების სახით და მათი შესრულება სავალდებულოა. ამ ნაწილით განსაზღვრული დადგენილებების გასაჩივრება არ აჩერებს მათ აღსრულებას.

23. პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში დადგენილება ამ მუხლის მე-20 ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რის თაობაზედაც გაიცემა შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

24. ამ მუხლის 22-ე ნაწილით განსაზღვრული დადგენილებების შესრულების კონტროლს ახორციელებს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო.

25. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ვალდებულია პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებით ან ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებით.

26. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს საზოგადოებისთვის პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება. პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდების წყაროები, ამ ინფორმაციის მიწოდების დადასტურების ხერხები და ვადები ეკონომიკურ ოპერატორს განესაზღვრება ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილებით, მოსალოდნელი საფრთხის და მისი გავრცელების რისკის ანალიზზე დაყრდნობით.

27. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ვალდებულია ბაზარზე განთავსებულ პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის შესახებ ინფორმაცია და ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად მისაღები ზომების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს ეკონომიკურ ოპერატორს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე საბაჟო ორგანოს.

28. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების წესი, პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის კატეგორიების განსაზღვრის წესი და პროდუქტის ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვის, რეალიზაციის შეჩერებისა და განადგურების წესი მტკიცდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით.

29. ამ მუხლში გამოყენებულ იმ ტერმინებზე, რომლებიც არ არის განმარტებული ამ კოდექსის მე-15 მუხლში, ვრცელდება ამ კოდექსში გამოყენებულ იმავე ტერმინთა განმარტებები.“.

5. 19^2 **მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 19^3 **მუხლი**:

„**მუხლი** 193. **ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელებისას გამოვლენილი სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის წესი**

ამ კოდექსის 421–425 მუხლების შესაბამისად დაკისრებული შესაბამისი ჯარიმა დამრღვევმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. დამრღვევმა ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს უნდა წარუდგინოს მისი გადახდიდან 5 დღის ვადაში. ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. 42^1-42^6 **მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 42^1. ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსთვის ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ხელის შეშლა

ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსთვის ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ხელის შეშლა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

მუხლი 42^2. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა

ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარამდე.

მუხლი 42^3. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების ბაზრიდან ამოღების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა

ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების ამოღების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარამდე.

მუხლი 42^4. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების გამოთხოვის შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა

ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების გამოთხოვის შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარამდე.

მუხლი 42^5. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების განადგურების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა

ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების განადგურების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დადგენილების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 7 000 ლარამდე.

მუხლი 42^6. ბაზარზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. ამ კოდექსის 42^1–42^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების არსებობის შემთხვევაში ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმებს.

2. ამ კოდექსის 42^1–42^5 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.“.

მუხლი 2.

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2020 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება და სააგენტოს უფროსის დანიშვნა.

2. საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2020 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

3. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტომ ფუნქციური ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში დასაქმებულ თანამშრომელთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე, დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ჩაითვალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფლებამონაცვლედ საქართველოს ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტების ზედამხედველობის ნაწილში, რომელთა მიმართ დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

11.11.19

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბუღალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com